პროგრამის აღწერილობა

პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)	მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა / Multilingual Education - Integrated BA and MA Educational Program for Preparation of Primary School Teachers
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	განათლების მაგისტრი/Master of Education, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგანთა ჯგუფის მასწავლებელი/Subject Teacher/Subject Group Teacher of General Education Primary School
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	პროგრამის მოცულობა - 300 კრედიტი საფაკულტეტო/მიმართულების დისციპლინები - 25 (ECTS) პედაგოგიური სავალდებულო დისციპლინები - 60 (ECTS) ქართულის, როგორც მეორე ენის ბლოკი / სავალდებულო /I-IVკლასები/ - 40 (ECTS) მათემატიკის დისციპლინები / სავალდებულო /I-IVკლასები/ - 20 (ECTS) ბუნებისმეტყველების დისციპლინები / სავალდებულო /I-IVკლასები/ - 20 (ECTS) საზოგადოებრივი მეცნიერებების დისციპლინები / სავალდებულო /I-VI კლასები/ - 25 (ECTS) პედაგოგიური პრაქტიკა - 30 (ECTS) სამაგისტრო ნაშრომი - - 30 (ECTS) ენობრივი (სომხური / აზერბაიჯანული) არჩევითი ბლოკები - 30 (ECTS) არჩევითი კურსები (V-VI კლასებში- ერთ-ერთი (ქართული, მშობლიური, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება) საგნობრივი დისციპლინის ბლოკის არჩევა სავალდებულოა, ასევე, შესაძლებელია კიდევ მაქსიმუმ ერთი საგნობრივი ბლოკის არჩევა. მხოლოდ ერთი ბლოკის არჩევის შემთხვევაში, სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა, შეავსოს 10 კრედიტი შეთავაზებული არჩევითი კურსებიდან) - 20 (ECTS)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	პროგრამის ხელმძღვანელი: თსუ ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი კახა გაბუნია. კოორდინატორი: თსუ ასისტენტ პროფესორი ეფემია ხარაძე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ერთიანი ეროვნული გამოცდები. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე; უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე; პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს თსუ სხვა ფაკულტეტის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად. პროგრამაზე სწავლის უფლება ასევე შეუძლია მოიპოვოს თსუ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულმა ქართული ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატის აღების შემთხვევაში.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია დაწყებითი განათლების საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადება, რომელიც ფლობს I - IV კლასების მშობლიური ენის (სომხური / აზერბაიჯანული) ქართულის, როგორც მეორე ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივ კომპეტენციებს, დამატებით V - VI კლასის ქართულის, როგორც მეორე ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების და საზოგადოებრივ მეცნიერებათაგან ერთ-ერთი ან მაქსიმუმ ორი საგნის / საგნობრივი მიმართულების კომპეტენციას; კერძოდ, პროგრამის ამოცანაა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი დარგის / საგნის / საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადება,

	პროგრამა უზრუნველყოფს: ა. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტისა და დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით, მოამზადოს დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი; პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური ცოდნის საგნობრივ ცოდნასთან ეფექტიანი ინტეგრირების საშუალებით, შეძლოს ეფექტური პედაგოგიური პრაქტიკის განხორციელება. ბ. დაწყებითი საფეხურის დარგის / საგნის პედაგოგი აღიჭურვოს დარგობრივი და მეორე ენის ინტეგრირებული სწავლების (CLIL) კომპეტენციებით; გ. კურსდამთავრებული დაეუფლოს მულტილინგვური განათლების სფეროსთვის დამახასიათებელ სტრატეგიებს, ხერხებსა და მეთოდებს და ადეკვატურად გამოიყენოს ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების მიდგომა სწავლა/სწავლების პროცესში; დ. კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდეს და სწავლების პროცესში ასახოს ლიბერალური მსოფლმხედველობრივი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები; შეიძინოს ინტელექტუალური, ზნეობრივი და კულტურული კომპეტენციები; დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა.
სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	1. განმარტავს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს; მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებსა და შესაბამის მოთხოვნებს; 2. აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, რაც უკავშირდება ეროვნულ სასწავლო გეგმის შესაბამის საგნის/საგნობრივი ჯგუფის ცოდნას; 3. იცნობს ბავშვის კოგნიტურ, ფსიქო-სოციალურ და ფიზიკური განვითარების თავისებურებებს და სწავლის პროცესზე მათ გავლენას;

უნარები	4. იყენებს მულტილინგვური განათლების სფეროსთვის დამახასიათებელ სტრატეგიებს, შეფასების ხერხებსა და მეთოდებს პრობლემების გადასაჭრელად; 5. სწორად გეგმავს და ორგანიზებას უკეთებს სასწავლო პროგრამას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. 6. ეფექტურად იყენებს სწავლება/სწავლის პროცესის ძირითადი პრინციპების, მეთოდების, სტრატეგიების, ორგანიზებისა და შეფასების ფორმებს მოსწავლეთა მიღწევების ასამაღლებლად; პროფესიულ გარემოში პრაქტიკულად იყენებს თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიებს; 7. ახორციელებს ენისა და საგნის სასწავლო გეგმის ინტეგრირებას ისე, რომ საგნის სასწავლო გეგმა ეხმარებოდეს ენის შესწავლას და პირიქით.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	8. თანმიმდევრულად და მრავალმხრივად აფასებს განათლების სფეროში საკუთარ ცოდნას და განსაზღვრავს შემდგომ სწავლის საჭიროებებს; სწავლა/სწავლების პროცესში დასახული კონკრეტული მიზნისათვის მოიძიებს საჭირო სიახლეებს ; აქვს დამოუკიდებლად შესწავლის უნარი და დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა; 9. მოსწავლეს (მათ შორის სხვადასხვა ტიპის უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფებს) აღიქვამს სრულფასოვან პიროვნებად, ზრუნავს მასზე და ავლენს მის მიმართ პატივისცემას; უვითარდება ტოლერანტობისა და საკუთარი ერის წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა ზრუნავს ;მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობაზე; 10. პატივს სცემს და იღებს სხვადასხვა აღმსარებლობას, კულტურასა და ტრადიციებს და მრავალფეროვნების, ბილინგვიზმისა და მულტიკულტურალიზმისადმი უვითარდება პოზიტიური დამოკიდებულება.
სწავლების მეთოდები	სწავლების პროცესში გამოყენებულია როგორც დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების, ასევე საქართველოს განათლების მეცნიერებების განვითარების გამოცდილება: ისეთი მეთოდები, როგორებიცაა დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა,

	თანამშრომლობითი სწავლება, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ელექტრონული სწავლება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვა . აღნიშნული მეთოდების გამოყენება ხდება ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, პრაქტიკუმის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის და სხვ. ფორმატში.
შეფასების წესი	(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დასკვნით გამოცდაზე დაშვების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულაა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი

	გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურადაა აღწერილი ის მექანიზმები და კომპონენტები, რომელთა მიხედვით სტუდენტი აგროვებს აქტივობისათვის გათვალისწინებულ ქულებს; შუალედური გამოცდა/გამოცდები ტარდება წერითი/ზეპირი/ტესტური ფორმით. დასკვნითი გამოცდა ტარდება წერითი/ზეპირი/ტესტური ფორმით საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე. სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში.
დასაქმების სფეროები	არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო და კერძო სკოლების დაწყებითი საფეხურის (I - VI კლასების) შესაბამისი საგნის (ქართული, როგორც მეორე ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, საზოგადოებრივი მეცნიერებები), ასევე – I - IV კლასების საგნობრივი ჯგუფების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, საზოგადოებრივი მეცნიერებები) მასწავლებელი (პროფესიით მუშაობის დაწყება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად).

	კურსდამთავრებულებს ასევე შეუძლიათ დასაქმდნენ განათლების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო (საგანმანათლებლო რესურსცენტრები, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ-ებსა და სხვა ქვეუწყებებში) და არასამთავრობო სექტორში.
სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის	სახელმწიფო დაფინანსება, / ერთ სტუდენტზე 2250 ლარის გათვლით/
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა პროგრამა განხორციელდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტზე, რომელიც განთავსებულია თსუ-ს მე-3 (ჭავჭავაძის გამზ.# 11ბ) და მე-7 (ქეთევან წამებულის გამზ. #55) კორპუსში,. აღსანიშნავია, რომ მე-3 კორპუსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით კაპიტალურად გარემონტდა 2016 წელს. განახლების შედეგად ფაკულტეტის სარგებლობაში მყოფი შენობა და მიმდებარე ტერიტორია სრულად აკმაყოფილებს სწავლებისა და კვლევის წარმართვისთვის საჭირო მოთხოვნებს, ფლობს აღნიშნული პროგრამის წარმატებით რეალიზებისათვის აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, როგორიცაა, სასწავლო და კვლევითი ფართი, ტექნიკური აღჭურვილობა და პროგრამული უზრუნველყოფა. თსუ მე-7 კორპუსში „ტემპუსის“ პროექტს „DIMTEGU“-ს ფარგლებში აღიჭურვა სპეციალური კომპიუტერული კლასი მულტილინგვური განათლების პროგრამის სტუდენტებისათვის; 2017 წლიდან ეტაპობრივად მიმდინარეობს კორპუსის კაპიტალური რემონტი, რომლის დასრულებაც ივარაუდება 2020 წლისთვის. პროგრამის მიზნებს ემსახურება თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ფაკულტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ბაზები, რესურს-ცენტრები, აუდიტორიები და სხვა. უზრუნველყოფილია ინტერნეტთან წვდომა უწყვეტ რეჟიმში, მათ შორის, საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ რესურსებთან. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს შემდეგ ელექტრონულ რესურსებს: Jstor, Ebsco, Erich, Scopus, Thomson.

	პროგრამის ადამიანური რესურსი: პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 38 პედაგოგი, რომელთაგან აკადემიური პერსონალია 22 (3 პროფესორი, 11 - ასოცირებული პროფესორი, 3 - ასისტენტ პროფესორი), ხოლო 16 – მოწვეული. აქედან 3 ზოგადსაგანმანამთლებლო სკოლის მასწავლებელი. პერსონალის CV-ებისათვის იხ. დანართი პროგრამაში ჩართული პერსონალი.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	მულტილინგვური განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მსმენელს მისცეს პედაგოგიური, საგნობრივ-მეთოდიკური ციკლის დისციპლინებისა და მულტილინგვური განათლების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა. პროგრამაში წარმოდგენილი ყველა საგნობრივი კურსის შინაარსი შესაბამისობაშია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარმოდგენილ მასწავლებლის პროფესიულ და საგნობრივ სტანდარტებთან. უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან (მასწავლებელის განათლება). საგანმანათელებლო პროგრამა „მულტილინგვური (მრავალენოვანი) განათლება“ მომზადდა TEMPUS-ის პროექტის DIMTEGU („მულტილინგვურ მასწავლებელთა მომზადების პროგრამების შექმნა და დანერგვა საქართველოსა და უკრაინის უნივერსიტეტებში“) ფარგლებში (პროექტის ნომერი 530360-TEMPUS-1-2012-1-GE-TEMPUS-JPCR). პროექტის ელექტრონული გვერდი www.dimtegu.tsu.ge ამავე პროექტის ფარგლებში მომზადდა პროგრამის სასწავლო რესურსები და ითარგმნა სახელმძღვანელოები. პროგრამა გაწერილია 10 სემესტრად, საგნობრივი (სავალდებულო) მიმართულებები (ქართული, როგორც მეორე ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, საზოგადოებრივი მეცნიერებები) წარმოდგენილია ბლოკების სახით; მშობლიური ენა არჩევით-სავალდებულო 2 მოდულადაა წარმოდგენილი: I მოდული - სომხური ენისა და ლიტერატურის /ქართული ენისა და ლიტერატურის (მეორე ენა), მათემატიკის,

	ბუნებისმცოდნეობის და საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების მასწავლებელი (I-IV კლასები) II მოდული - აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის /ქართული ენისა და ლიტერატურის (მეორე ენა), მათემატიკის, ბუნებისმცოდნეობის და საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების მასწავლებელი (I-IV კლასები) სტუდენტმა სავალდებულო წესით ინტეგრირებულად უნდა გაიაროს I – IV კლასების ქართულის, როგორც მეორე ენის, მათემატიკისა და ბუნებისმცოდნეობის, საზოჰადოებრივი მეცნიერებების საგნები, და V – VI კლასების სავალდებულოდ ერთი, საკუთარი არჩევანის მიხედვით, და კიდევ ერთი (სურვილისამებრ) საგნის 10-10 კრედიტის ოდენობის გაძლიერებული კურსები, რომლებიც ორივე საგნობრივი მიმართულებით VIII – IX სემესტრებშია წარმოდგენილი. შესაბამისად, კურსდამთავრებულს ექნება ხუთი საგნობრივი მიმართულების სწავლების კომპეტენციები I – IV კლასებისთვის (ქართული, როგორც მეორე ენა, მშობლიური ენა, მათემატიკა, ბუნებისმცოდნეობა, საზოგადოებრივი მეცნიერებები) და, სავალდებულოდ მინიმუმ ერთი (მაქსიმუმ - ორი) საგნის (ქართული, როგორც მეორე ენა, მშობლიური ენა, მათემატიკა, ბუნებისმცოდნეობა, საზოგადოებრივი მეცნიერებები) სწავლების კომპეტენციები V – VI კლასებისათვის. პროგრამაში სამაგისტრო ნაშრომის შესრულება გაწერილია მე-9 (10 კრედიტი) და მე-10 (20 კრედიტი) სემესტრებში; მე-9 სემესტრში მაგისტრანტი შეიმუშავებს კვლევის მეთოდოლოგიას, დაამუშავება ლიტერატურას, ხოლო მე-10 სემესტრში ჩაატარებს ემპირიულ კვლევას და ნაშრომის საბოლოო გაფორმებაზე იმუშავებს. პედაგოგიური პრაქტიკა მოიაზრება მე-7 - მე-10 სემესტრებში. პროგრამის სწავლის შედეგები დადასტურდება: • შემაჯამებელი კრებსითი გამოცდით პედაგოგიკურ და ფსიქოლოგიის მიმართულების დისციპლინებში; • შემაჯამებელი კრებსითი გამოცდით საგანსა და საგნის სწავლების მეთოდიკაში; • სამაგისტრო ნაშრომის დაცვით.

	პროგრამაში პედაგოგიურ პრაქტიკას ეთმობა 30 სავალდებულო კრედიტი, რომელთაგან 5-5 კრედიტი ეთმობა ქართულის, როგორც მეორე ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების და საზოგადოებრივი მეცნიერებების ბლოკების შესაბამის პედაგოგიურ პრაქტიკას, ხოლო 10 კრედიტი მშობლიური ენისა და ლიტერატურის საგნობრივი ბლოკის შესაბამის პედაგოგიურ პრაქტიკას.

დანართი 2

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მულტილინგვური განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული
საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სწავლების საფეხური: ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო

კრედიტების რაოდენობა: 300

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი კახა გაბუნია; კოორდინატორი: ასისტ. პროფესორი ეფემია ხარაძე.

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 84/2019 თარიღი: 01/07/2019
(ცვლილებები: თარიღი: 21/09/2021, დადგენილების ნომერი 85/2021)

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2019/2020

პროგრამის სტრუქტურა

			სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი																	
#	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა					სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი										ლექტორი / ლექტორები
				საკონტაქტო			დამოუკიდებელი	სულ		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
				ლექცია	სემინარი/ სამუშაო ჯგუფი	პრაქტიკუმი/ ლაბორატორიული														
საფაკულტეტო/მიმართულების დისციპლინები - 25 (ECTS)																				
1.		პედაგოგიკის შესავალი	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე	+										ქეთევან ჭკუასელი, ეფემია ხარაძე
2.		ფსიქოლოგიის საფუძვლები 1	5	30	30		65	125	წინაპირობის გარეშე			+								თამარ აბაშიძე, ირინა ჟვანია
3.		აკადემიური წერა	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე		+									გიული შაბაშვილი
4.		უცხო ენა	10 5/5	60	60		130	250	წინაპირობის გარეშე	+	+									რუსუდან დოლიძე

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის საგნობრივი და მეთოდური მოდული - 215 (ECTS)																				
პედაგოგიური სავალდებულო დისციპლინები - 60 კრედიტი (ECTS)																				
5.		ფსიქოლოგიის საფუძვლები 2	5	30	30		65	125	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2				+							თამარ აბაშიძე, ირინა ჟვანია
6.		ადამიანის განვითარება 1	5	15	30		80	125	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1					+						მანანა მელიქიშვილი
7.		სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები და მათი გამოყენების პრაქტიკა	5	15	30		80	125	პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები				+							ია აფთარაშვილი
8.		ინკლუზიური განათლება	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე									+		თეონა ლოდია
9.		განათლების ფსიქოლოგია	5	15	30		80		ფსიქოლოგიის საფუძვლები 1						+					მზია წერეთელი
10.		პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები	5	15	30		80	125	პედაგოგიკის შესავალი		+									ქეთევან ჭკუასელი
11.		სასწავლო გეგმის დიზაინი	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე			+								კახა გაბუნია
12.		კვლევის მეთოდები განათლებაში,	5	15	30		80	125	განათლების ფსიქოლოგია									+		შალვა ტაბატაძე, ნათია გორგაძე

		პრაქტიკული კვლევები განათლებაში																		
13.		სასწავლო და პროფესიული გარემო	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე					+						ნათია გორგაძე
14.		შეფასების სისტემა დაწყებით სკოლაში	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე							+				კახა გაბუნია
15.		ბილინგვიზმისა და ბილინგვური განათლების საფუძვლები	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე			+								შალვა ტაბატაძე
16.		მულტიკულტურული განათლება. მრავალფეროვნების მართვა კლასში დაწყებით სკოლაში	5	15	30		80	125	ბილინგვიზმისა და ბილინგვური განათლების საფუძვლები								+			შალვა ტაბატაძე
ქართულის, როგორც მეორე ენის ბლოკი - 40 (ECTS) სავალდებულო /I-IVკლასები/ არჩევითი ქართულის, როგორც მეორე ენის დისციპლინების ბლოკი /V-VIკლასებI/ 10 (ECTS)																				
										1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
17.		ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე		+									ნინო შარაშენიძე
18.		ქართული, როგორც მეორე ენა (მოსმენა / ლაპარაკი)	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე	+										კახა გაბუნია, ნინო შარაშენიძე

19.		ქართული, როგორც მეორე ენა (წერა)	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე	+										გიული შაბაშვილი
20.		ქართული, როგორც მეორე ენა (კითხვა)	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე	+										ნინო შარაშენიძე
21.		ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე	+										ჭაბუკი ქირია
22.		ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 2	5	15	30		80	125	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1		+									ჭაბუკი ქირია
23.		წიგნიერება და ორმაგი წიგნიერება ბილინგვურ კლასში	5	15	30		80	125	ბილინგვიზმ ისა და ბილინგვური განათლების საფუძვლები							+				ნათია გორგაძე
24.		ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების თეორია და მეთოდიკა-1	5	15	30		80	125	წინაპირობ ის გარეშე					+						კახა გაბუნია, ნინო შარაშენიძე
ქართულის, როგორც მეორე ენის დისციპლინების ბლოკი /V-VIკლასებI/10 (ECTS) (V-VIკლასებში- ერთ-ერთი (ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება) საგნობრივი დისციპლინის ბლოკის არჩევა სავალდებულოა)																				
25.		ქართული ენის მართლწერისა და	5	15	30		80	125	ქართული ენის							+				ჭაბუკი ქირია

		ორთოეპიის საფუძვლები							პრაქტიკული გრამატიკა 2											
26.		ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების თეორია და მეთოდიკა-2	5	15	30		80	125	ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების თეორია და მეთოდიკა-1								+			ნინო შარაშენიძე
მათემატიკის დისციპლინები-20 კრედიტი (ECTS) სავალდებულო /I-IVკლასები/+ არჩევითი მათემატიკისდისციპლინების ბლოკი /V-VI კლასები/ 10 (ECTS)																				
										1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
27.		ალგებრა-და-რიცხვთა-თეორია-1	3	15	30		30	75	წინაპირობის გარეშე			+								თეიმურაზ ვეფხვაძე; მზია შერმაზანაშვილი
28.		გეომეტრია და სივრცის აღქმა -1	2	15	15		20	50	წინაპირობის გარეშე			+								თეიმურაზ ვეფხვაძე; მზია შერმაზანაშვილი
29.		გეომეტრია და სივრცის აღქმა 2	5	15	30		80	125	გეომეტრია და სივრცის აღქმა 2				+							თეიმურაზ ვეფხვაძე; მზია შერმაზანაშვილი
30.		მათემატიკის სწავლების მეთოდიკა დსაწყებით კლასებში 1	5	15	30		80	125	ალგებრა-და-რიცხვთა-თეორია-1; გეომეტრია და სივრცის აღქმა 2					+						თეიმურაზ ვეფხვაძე; მზია შერმაზანაშვილი
31.		ენისა და საგნის (მათემატიკის) ინტეგრირებული	5	15	30		80	125	ალგებრა და რიცხვთა თეორია 2;						+					თეიმურაზ ვეფხვაძე; მზია შერმაზანაშვილი

		სწავლების მეთოდიკა							გეომეტრია და სივრცის აღქმა - 2											
მათემატიკისდისციპლინების ბლოკი /V-VIკლასებI/10 (ECTS) V-VI კლასებში- ერთ-ერთი (ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება) საგნობრივი დისციპლინის ბლოკის არჩევა სავალდებულოა																				
32.		ალგებრა და რიცხვთა თეორია-2	5	15	30		80	125	ალგებრა და რიცხვთა თეორია-1							+				თეიმურაზ ვეფხვაძე; მზია შერმაზანაშვილი
33.		მათემატიკის სწავლების მეთოდიკა დსაწყებით კლასებში 2	5	15	30		80	125	მათემატიკის სწავლების მეთოდიკა - 1								+			თეიმურაზ ვეფხვაძე; მზია შერმაზანაშვილი

ბუნებისმეტყველების დისციპლინები-20 კრედიტი (ECTS) სავალდებულო /I-IVკლასები + არჩევითიბუნებისმეტყველების დისციპლინების ბლოკი/V-VIკლასებI/ 10 (ECTS)																				
										1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
34.		ბუნებისმცოდნეობა - 1	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე		+									ეფემია ხარაძე
35.		ბუნებისმცოდნეობა - 2	5	15	30		80	125	ბუნებისმცოდნეობა - 1			+								ეფემია ხარაძე
36.		ბუნებისმცოდნეობის სწავლების მეთოდიკა დაწყებით კლასებში	5	30	30		65	125	ბუნებისმცოდნეობა - 2				+							ეფემია ხარაძე

37.		ენისა და საგნის (ბუნებისმეტყველების) ინტეგრირებული სწავლების მეთოდიკა	5	15	30		80	125	ბუნებისმცოდნეობის სწავლების მეთოდიკა დაწყებით კლასებში-1					+						კახა გაბუნია
ბუნებისმეტყველების დისციპლინების ბლოკი /V-VIკლასებI/ 10 (ECTS) V-VI კლასებში- ერთ-ერთი (ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება) საგნობრივი დისციპლინის ბლოკის არჩევა სავალდებულოა																				
38.		ბუნებისმცოდნეობა-3	5	15	30		80	125	ბუნებისმცოდნეობა-2							+				ეფემია ხარაძე
39.		ბუნებისმცოდნეობა-4	5	15	30		80	125	ბუნებისმცოდნეობა-3								+			ეფემია ხარაძე
საზოგადოებრივი მეცნიერებების დისციპლინები- 25 კრედიტი(ECTS) სავალდებულო /I-VI კლასები/																				
										1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
40.		ისტორია და გეოგრაფია დაწყებით კლასებში („ჩვენი საქართველო“)	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე					+						ირაკლი ბრაჭული
41.		სამოქალაქო განათლება დაწყებით კლასებში	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე						+					ნაირა მამუკელაშვილი,
42.		ტოლერანტობა და მრავალფეროვნება	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე						+					ქეთევან ხუციშვილი
43.			5	15	30		80	125	ისტორია და გეოგრაფია დაწყებით							+				მიხეილ ბახტაძე

		საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მეთოდიკა დაწყებით კლასებში							კლასებში („ჩვენი საქართველო“)											
44.		ენისა და საგნის (საზოგადოებრივი მეცნიერებები) ინტეგრირებული სწავლების მეთოდიკა	5	15	30		80	125	ისტორია და გეოგრაფია დაწყებით კლასებში („ჩვენი საქართველო“);								+			კახა გაბუნია

არჩევითი საგნები - 10 კრედიტი (ECTS) (V-VI კლასებში- ერთ-ერთი (ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება) საგნობრივი დისციპლინის ბლოკის არჩევა სავალდებულოა, ასევე, შესაძლებელია კიდევ მაქსიმუმ ერთი საგნობრივი ბლოკის არჩევა. მხოლოდ ერთი ბლოკის არჩევის შემთხვევაში, სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა, შეავსოს 10 კრედიტი ჩამოთვლილი არჩევითი კურსებიდან)																			
										1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
45.		საქართველოს განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე									+		ქეთევან ჭკუასელი, ზაქარია ქიტიაშვილი
46.		განათლების ისტორია და თანამედროვეობა	5	30	30		65	125	წინაპირობის გარეშე										+	ქეთევან ჭკუასელი, ზაქარია ქიტიაშვილი

47.		თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე									+		ნინო ჩახუნაშვილი
48.		სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობა/ ლიდერობა განათლებაში	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე										+	შალვა ტაბატაძე
49.		სოციოკულტურული კომპეტენციის სწავლების სტრატეგიები		15	30		80	125	წინაპირობის გარეშე						+					გიული შაბაშვილი
50.		ბავშვთა მიმართ ძალადობა	5	15	30		80	125	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1											მანანა მელიქიშვილი
51.		უცხო ენა 1	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე									+		რუსუდან დოლიძე
52.		უცხო ენა 2	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე										+	რუსუდან დოლიძე
53.		სომხური ენა ქართულენოვანთა თვის	5	15	30		80	125	სომხური ენა 3									+		ზოია მხითარიანი
54.		აზერბაიჯანული ენა ქართულენოვანთა თვის	5	15	30		80	125	აზერბაიჯანული ენა 4									+		ელვირა ასლანოვა

55.		სახვითი ხელოვნება – პრაქტიკა და თეორია 1	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე									+		ლევან სილაგაძე
56.		სახვითი ხელოვნება – პრაქტიკა და თეორია 2	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე										+	ლევან სილაგაძე
57.		მუსიკა და სამყარო	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე										+	ლევან მიზანდარი
58.		დებატების ტექნიკის გამოყენება სწავლებაში	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე											თინათინ ცერცვაძე

ენობრივი (არჩევითი) ბლოკები - 40 კრედიტი (ECTS)																				
სომხური ენის ენის ბლოკი - 30 (ECTS) სავალდებულო /I-IVკლასები/ არჩევითი სომხური ენის დისციპლინების ბლოკი /V-VIკლასებI/ 10 (ECTS)																				
										1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
59		ახალი სომხური ენა -1	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე		+									ზოია მხითარიანი
60		ახალი სომხური ენა-2	5	15	30		80	125	ახალი სომხური ენა-1			+								ზოია მხითარიანი,

61		ახალი სომხური ენა-3	5	15	30		80	125	ახალი სომხური ენა-2				+							ზოია მხითარიანი,
62		სომხური ლიტერატურა	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე					+						ზოია მხითარიანი
63		სომხური ლიტერატურის ისტორია და ფოლკლორი	5	15	30		80	125	სომხური ლიტერატურა						+					ზოია მხითარიანი,
64		სომხური ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოიკა -1	5	15	30		80	125	ახალი სომხური ენა-3; სომხური ლიტერატურა							+				ზოია მხითარიანი,
სომხური ენის დისციპლინების ბლოკი /V-VIკლასებI/10 (ECTS) (V-VIკლასებში- ერთ-ერთი (ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება) საგნობრივი დისციპლინის ბლოკის არჩევა სავალდებულოა)																				
65		ქართულ-სომხური ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობები	5	15	30		80	125	სომხური ლიტერატურის ისტორია და ფოლკლორი								+			ზოია მხითარიანი
66		სომხური ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა 2	5	15	30		80	125	სომხური ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა 1									+		ზოია მხითარიანი

აზერბაიჯანული ენის ენის ბლოკი - 30 (ECTS) სავალდებულო /I-IVკლასები/

არჩევითი ქართულის, როგორც მეორე ენის დისციპლინების ბლოკი /V-VIკლასებI/ 10 (ECTS)																				
										1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
67		აზერბაიჯანული ენა-1	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე		+									ელვირა ასლანოვა
68		აზერბაიჯანული ენა-2	5	15	30		80	125	აზერბაიჯანული ენა-1			+								ელვირა ასლანოვა
69		აზერბაიჯანული ენა-3	5	15	30		80	125	აზერბაიჯანული ენა-2				+							ელვირა ასლანოვა
70		აზერბაიჯანული ლიტერატურა 1	5	15	30		80	125	წინაპირობის გარეშე					+						ელვირა ასლანოვა
71		აზერბაიჯანული ლიტერატურა 2	5	15	30		80	125	აზერბაიჯანული ლიტერატურა 1						+					ელვირა ასლანოვა
72		აზერბაიჯანული)ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა 1	5	15	30		80	125	აზერბაიჯანული ენა-3; აზერბაიჯანული ლიტერატურა 1							+				ელვირა ასლანოვა
აზერბაიჯანული ენის დისციპლინების ბლოკი /V-VIკლასებI/10 (ECTS) (V-VIკლასებში- ერთ-ერთი (ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება) საგნობრივი დისციპლინის ბლოკის არჩევა სავალდებულოა)																				
73		აზერბაიჯანული ენა 4	5	15	30		80	125	აზერბაიჯანული ენა-3							+				ელვირა ასლანოვა
74		აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა 2	5	15	30		80	125	აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა 1								+			ელვირა ასლანოვა

პედაგოგიური პრაქტიკა - 30 კრედიტი (ECTS)																				
										1	2	3	4	5	6	7	8	9	10	

		პედაგოგიური პრაქტიკა -1. 5 (ECTS)							ენისა და საგნის (ბუნებისმცოდნეობის) ინტეგრირებული სწავლების მეთოდიკა							+				
		პედაგოგიური პრაქტიკა -2. 5 (ECTS)							ენისა და საგნის (მათემატიკის) ინტეგრირებული სწავლების მეთოდიკა								+			
		პედაგოგიური პრაქტიკა -3. 5 (ECTS)							ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების თეორია და მეთოდიკა-1									+		
		პედაგოგიური პრაქტიკა -4. 5 (ECTS)							სომხური ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოიკა -1 / აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოიკა -1									+		
		პედაგოგიური პრაქტიკა - 5							სწავლა-სწავლების										+	

		10 (ECTS)							თანამედროვე მიდგომები და მათი გამოყენების პრაქტიკა											
სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი (ECTS)																				
		1. 10 (ECTS)																	+		
		2. 20 (ECTS)																		+	

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი